



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/07

ა. თბილისი

14 თებერვალი 2018წ.


„უნივერსიტეტის მივლინების წესისა და პირობების“ დოკუმენტში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 8 თებერვლის №16 წერილის და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. „უნივერსიტეტის მივლინების წესისა და პირობების“ დოკუმენტში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:
 - ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ზ.“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დ.ზ.) მივლინების ანგარიშგების წარმოდგენის ვადა, რომელიც არ უნდა იყოს მივლინების დასრულებიდან 5 სამუშაო დღეზე ნაკლები“;
 - ბ) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. მივლინებიდან დაბრუნებული პირი ანგარიშს მისი განხილვის, მივლინებაში გაწეული სამუშაოსა და მივლინების შედეგების შეფასების მიზნით წარუდგენს რექტორატს, ფაკულტეტის პერსონალი – ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო სამეცნიერო პერსონალი – სამეცნიერო საბჭოს“;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბაშვილი